

პერიოდული სამეცნიერო ჟურნალი
PERIODICAL SCIENTIFIC JOURNAL
ПЕРИОДИЧЕСКИЙ НАУЧНЫЙ ЖУРНАЛ

ISSN 2346-8467

აგრო
AGRO
АГРО
NEWS

№5

ქუთაისი – Kutaisi – Кутаиси
2018



ჟურნალი წარმოადგენს
იმერეთის აგროეკოლოგიური ასოციაციის კავშირისა და
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარული ფაკულტეტის
პერიოდულ-სამეცნიერო გამოცემას

სარედაქციო კოლეგია:

ლორთქიფანიძე როზა – (მთავარი რედაქტორი);

ავალიშვილი ნინო (სწავლული მდივანი);

წევრები: ურუშაძე თენგიზი; პაპუნძე ვანო; შაფაკიძე ელგუჯა; ასათიანი რევაზი; კოპალიანი როლანდი; ჯაბნიძე რევაზი; კინწურაშვილი ქეთევანი; მიქელაძე ალექსანდრე; ჭაბუკიანი რანი; ქობალია ვახტანგი; ფრუიძე მაყვალა; ჩახჩიანი-ანასაშვილი ნუნუ; დოლბაია თამარი; ყუბანიშვილი მაკა; კელენჯერიძე ნინო; ყიფიანი ნინო; ხელაძე მაია; კილასონია ემზარი; კველიშვილი მანანა; ჩხიროძე დარეჯანი; ჯობავა ტრისტანი; წიქორიძე მამუკა; თავბერიძე სოსო; თაბაგარი მარიეტა; კილაძე რამაზი; მეტრეველი მარიამი; გვალაძე გულნარა; ნემსაძე მარიამი.

სარედაქციო კოლეგიის საზღვარგარეთის წევრები:

იოფე გრიგორი (აშშ); კავალიაუსკას ვიდასი (ლიტვა); ჩუხნო ინა (უკრაინა); ბელოკონევა-შიუკაშვილი მარინა (პოლონეთი); გასანოვი ზაური (აზერბაიჯანი); მამმადოვი რამაზანი (თურქეთი); სანტროსიანი გაგიკი (სომხეთი); სალინდიოვი ულტემურატი (ყაზახეთი).

The magazine is a periodical scientific publication of
Imereti Agro-ecological Association and
Akaki Tsereteli State University Faculty of Agrarian Studies.

EDITORIAL BOARD

Lortkipanidze Roza– (Editor in Chief);

Avalishvili Nino – (Academic Secretary);

Members: Urushadze Tengiz; Papunidze Vano; Shpakidze elguja; Asatiani Revaz; Kopaliani Roland; Jabnidze Revaz; Kintsurashvili Ketevan; Mikeladze Aleksandr; Chabukiani Rani; Qobalia Vaxtang; Fruidze Makvala; Chachkhiani-Anasashvili Nunu; Dolbaia Tamar; Kubaneishvili Maka; Kelendjeridze Nino; Kipiani Nino; xeladze Maia; Kilasonia Emzar; Kevlishvili Manana; Chxirodze Daredjan; Jobava Tristan; Tsiqoridze Mamuka; Tavberidze Coco; Tabagari Marieta; Kiladze Ramaz; Metreveli Mariami; Gvaladze Gulnara; Nemsadze Mariam.

FOREIGN MEMBERS OF EDITORIAL BOARD

Ioffe Grigory (USA); Kavaliauskas Vidas (Litva); Chuxno Inna (Ukraine); Belokoneva-Shiukashvili Marina (Poland); Gasanov Zaur (Azerbaijan); Mammadov Ramazan (Turkey); Santrosian Gagik (Armenia); Sagyndykov Ultemurat (Kazakhstan).

Журнал представляет
Периодическое научное издание
Союза агроэкологической ассоциации Имерети и
Аграрного Факультета Государственного Университета Акакия Церетели

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ:

Лорткипанидзе Роза – (главный редактор);

Авалишвили Нино – (Ученый Секретарь);

Члены: Урушадзе Тенгиз; Папунидзе Ванო; Шафакидзе Элгуджа; Асатиани Реваз; Копалиани Роланд; Джабниძე რევაზ; Кинцურაშვილი Кетеван; Микеладзе Александр; Чабукиანი Рани; Кобалия Вахтанг; Фруидзе Мақвала; Чачхиანი-Анасашვილი Нуну; Долбая Тамар; Кубанеишвили Мака; Келенджеридзе Нино; Кипиანი Нино; Хеладзе Маია; Киласония Эмзар; Кевлишвили Манана; Чхиродзе Дареджан; Джобавა Трისტан; Цикоридзе Мамука; Тавберидзе Сосо; Табагари Мариета; Киладзе Рамаз; Метревели Мариам; Гваладзе Гульнара; Немсадзе Мариам.

ЗАРУБЕЖНЫЕ ЧЛЕНЫ РЕДАКЦИОННОЙ КОЛЛЕГИИ:

Иоффе Григори (США); Кавалиаускас Видас (Литва); Чухно Инна (Украина); Белоконева-Шиукашвили Марина (Польша); Гасанов Заур (Азербайджан); Маммадов Рамазан (Турция); Сантросян Гагик (Армения); Сагиндиқов Ултемурат (Казахстан)



შინაარსი

1 აგროკულტურის მეცნიერებათა
AGRICULTURAL SCIENCES
АГРОФИТНЫЕ НАУКИ

როლანდ კოპალიანი, ვლადიმერ უგულავა, ლია კოპალიანი, მარიეტა თაბაგარი, შორენა კაპანაძე – რიგთაშორისების მოვლის ზოგიერთი ხერხის გავლენა თბილის ფესვთა სისტემისა და მიწისზედა ორგანოების განვითარებაზე სამეგრელოს პირობებში	7
Roza Lortkipanidze, Nino Kelenjeridze, Natalia Santeladze – The genesis of Wetland Soils and Agronomic Characteristics in Samegrelo Region	12
Nunu Chachkhiani – Anasashvili – Results of effective insecticides test against Spanish red scales (Chrysompholus dictyospermi Morg)	15
ვახტანგ ქობალაია – მიკრომცნობა ციტრუსოვანთა უვირუსო სარგავი მასალის მისაღებად	17
მაკა ყუბანეიშვილი – თესვის ვადების გავლენა იონჯას მოსავლიანობაზე იმერეთის პირობებში	20
Demetre Lipartia – Definition of the efficiency of water soluble fertilizers on the experimental hazelnut field	26
Roza Lortkipanidze, Nino Avalishvili, Maia Kheladze, Levan Shavadze – Agroecological Monitoring of Dark (Brown) Soils in Imereti Region	28
ნელი კელენჯერიძე – წიადაგის არეს რეაქცია და მისი მნიშვნელობა სოფლის მეურნეობაში	31
ნინო ხონელიძე, ნუნუ დიაკონიძე – ქუთაისის ბოტანიკური ბაღისა და მისი შემოგარენის ბუნებრივად მოზარდი (ველური) ბალახოვანი მცენარეები	36
ნინო ავალიშვილი – ძვირფასი ქვების გათლა-დამუშავება	42
Demetre Lipartia – BMSB monitoring in Samegrelo	45
ლუიზა გორგოძე, ელენე ხუციშვილი – ვერცხლისფერი პირთეთრას - <i>Cerastium argenteum</i> M. Bieb. კულტურა ქუთაისის ბოტანიკურ ბაღში	47
მაყვალა ფრუიძე, ეკატერინე ბენდელიანი, შორენა ჩაკვეტაძე – ფშატით (<i>Elaeagnus</i>) გამდიდრებული ჩაის წარმოება	51
ეკატერინე კახნიაშვილი – ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებებით გამდიდრებული ტაბლეტირებული ჩაის წარმოება	59
თამარ კოპალიანი – კავკასიური დეკას ფოთლები – „მატეს“ ტიპის ჩაის მიღების ალტერნატიული ნედლეული	64



- ვლადიმერ უგულავა, ქეთევან ქუთელია, თორნიკე ხელაძე – აგროკლიმატური ფაქტორის გავლენა აქტინიდიის (კივი) მცენარის ზრდა-განვითარებაზე ქუთაისის პირობებში _____ 72
- მარინა კუცია – ქუთაისის ბოტანიკური ბაღის დეკორატიულ მცენარეთა ფიტოსანიტარული რისკების დადგენა _____ 76

2 ბიზნესის ადმინისტრირება
BUSINES ADMINISTRATION
АДМИНИСТРИРОВАНИЕ БИЗНЕСА

- გულადი თხილაიშვილი, ნანა ჯაბნიძე – საქართველოს სასურსათო პროდუქციის იმპორტ-ჩანაცვლების ძირითადი ტენდენციები _____ 89
- მანანა ბანძელაძე, დარეჯან ჩხიროძე – ზნეობრივი და ეკოლოგიური განათლების როლი საზოგადოების განვითარებაში _____ 94

4 მულტიდისციპლინარული ღარბები
MULTIDISCIPLINARY BRANCHES
МЕЖДУДИСЦИПЛИНАРНЫЕ ОТРАСЛИ

- ჩაჩაპურიძე ავტანდილ – Особенности питания иностранных граждан _____ 99



1 აგრორული მეცნიერებანი **AGRICAL SCIENCES** **АГРАРНЫЕ НАУКИ**





**ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებებით გამდიდრებული
ტაბლეტირებული ჩაის წარმოება**

ეკატერინე კახნიაშვილი

ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი, ტექნოლოგიების აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო

წარმოდგენილ ნაშრომში განხილულია კვების პროდუქტის ერთ-ერთი საინტერესო სახეობა - ტაბლეტირებული ჩაი, რომელიც მიიღება ძნელადრეალიზებადი ჩაის სახეებიდან - გამოწვებისა და ნამცეცისგან. მისი ქიმიური შემადგენლობის ამაღლება და ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებებით გამდიდრება შესაძლებელია მცენარეული ნედლეულით - ბროწეულის ფოთლების ექსტრაქტის ჩართვით წარმოების პროცესში. დამუშავებული ტექნოლოგიური სქემა საშუალებას იძლევა მარტივად დამზადდეს მომხმარებლისთვის მისაღები კვების პროდუქტი. მიღებული ტაბლეტირებული ჩაი წარმოადგენს ორგანიზმისათვის საჭირო ნივთიერებებით შევსებულ პროდუქტს, რომელიც აგრეთვე შეიძლება გამოყენებულ იქნას სამკურნალო-პროფილაქტიკური დანიშნულებითაც. აღნიშნული პროდუქტის ყოველდღიურ რაციონში ჩართვა ამაღლებს ორგანიზმის იმუნურ სისტემას, შეავსებს ენერგოდეფიციტს, მიიღწევა გამაჯანსაღებელი ეფექტი.

ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერება წარმოადგენს მაღალი ფიზიოლოგიური აქტივობის კონცენტრატს, რომელიც აუცილებელია ცოცხალი ორგანიზმის სიცოცხლისუნარიანობისათვის, ააქტიურებს ფერმენტულ სისტემას, სწრაფად და იოლად ადადგენს სასიცოცხლოდ აუცილებელი საკვები ნივთიერებების დეფიციტს, ორგანიზმს აძლიერებს ენერგიით, მცირე რაოდენობაც კი საკმარისია გამაჯანსაღებელი და დამცავი მოქმედებისათვის. ამდენად, საჭიროა მათი ადამიანის ყოველდღიურ რაციონში გამოყენება.

ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებებით მდიდარ წყაროს წარმოადგენს მცენარეული (სამკურნალო, ეთერზეთოვანი, ცხიმზეთოვანი, სანელებლები) ნედლეული, რომელიც ამაღლებს პროდუქტის საკვებ და სამკურნალო თვისებებს, ხოლო ასეთი პროდუქტების რეგულარული მოხმარებისას მცირდება არასასურველი ფაქტორების უარყოფითი ზემოქმედება, ორგანიზმის როგორც შინაგან, ისე გარეგან არეზე.

ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებებით მდიდარ პროდუქტს წარმოადგენს ჩაის პროდუქცია, კერძოდ, მწვანე ჩაი. მისი ამ თვისებების ამაღლება და გამდიდრება სხვა დამატებითი თვისებებით შესაძლებელია ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების მქონე მცენარეების გამოყენებით, რაზეც ადრე იქნა ჩატარებულ ცდები. თუმცა, ამჟამად გამოვიყენეთ ძნელადრეალიზებადი ჩაის სახეები - გამოწვარი და ნამცეცი, რომლებიც ხასიათდებიან მომხმარებლისათვის მთელი რიგი არასასურველი მახასიათებლებით, როგორცაა, ექსტრაქციისას ნაყენის სიმღვრივე, დაბალი შენახვისუნარიანობა



და სხვა. თუმცა, გამოირჩევიან საკმაოდ მაღალი ქიმიური შემადგენლობით (ექსტრაქტი - 30,2%, ფენოლური ნაერთები - 10,2%, კოფეინი - 1,85%). ასეთი ჩაი ძირითადად გამოიყენება ერთჯერადი მოხმარების პაკეტების დასამზადებლად, ხოლო გარკვეული ნაწილი - ფილა ჩაის დასამზადებლად. [1]

ჩვენს მიერ დამზადებულ იქნა ტაბლეტირებული ჩაი, რომელიც წარმოადგენს ჩაის ნამცეცის და გამონაცერის დაწნეხვით მიღებულ 3-5გრ. მასის ტაბლეტის ფორმის პროდუქტს. იგი გამოირჩევა მცირე ხვედრითი მოცულობით, დამზადებისას მაღალი დოზირების სიზუსტით, კარგად ინახება, კარგად ტრანსპორტირდება და რაც მთავარია, მოხერხებულია გამოყენებისთვის. [2]

ტაბლეტირებული ჩაის გამამდიდრებლად შერჩეულ იქნა ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებებით მდიდარი მცენარე - ბროწეული.

ბროწეულის ყველა ნაწილი მდიდარია სხვადასხვა ქიმიური ნივთიერებებით: ფოთლები (ტრიტერპენოვანი მჟავები: ურსულის - 0,45%, ბეტულინის - 0,2%, სტეროიდები - სიტოსტერინი, ფენოლკარბონის მჟავები და მათი წარმოებულები, მთრიმლავი ნივთიერებები - 10,2%), ნაყოფი (შაქრები - 12-20%, ორგანული მჟავები (ლიმონის და ვაშლის მჟავა) - 5,87-9,05%, ვიტამინი C, პექტინოვანი ნივთიერება - 5,4%), კანი (მთრიმლავი ნივთიერება - 26%, ტანიინი - 15%), ბუდე, ძგიდე (მთრიმლავი ნივთიერება - 25-30%, თესლები - ცხიმოვანი მჟავები - 17,11%). [3,4]

როგორც ბროწეულის შემადგენელი ნაწილების ქიმიური შემცველობიდან ჩანს, მისი დანამატად გამოყენება აამაღლებს და გაზრდის ჩაის პროდუქციის, კერძოდ, ტაბლეტირებული ჩაის ქიმიურ შემადგენლობას, გააძლიერებს მისი ნაყენის ანტიმიკრობულ თვისებებს, დაიცავს ორგანიზმს მავნე მიკროფლორის განვითარებისგან. შეიძლება მიღებული ჩაის პროდუქციის სამკურნალო-პროფილაქტიკური დანიშნულებით გამოყენებაც.

ტაბლეტირებული ჩაის დასამზადებლად გამოყენებულ იქნა:

- მწვანე ჩაის გამონაცერი;
- ბროწეულის ფოთლების ექსტრაქტი, როგორც შემკვრელი ნივთიერება;
- შაქრის ფხვნილი, როგორც მზა ტაბლეტის ხსნადობის გამაუმჯობესებელი;
- შესარევი ინგრედიენტების რაოდენობამ შეადგინა: გამონაცერი - 75%, ექსტრაქტი - 15%, შაქრის ფხვნილი - 10%;
- პროცესის გასამარტივებლად ტექნოლოგიური სქემიდან ამოღებულ იქნა გრანულირების პროცესი, ვინაიდან ნედლეული წინასწარაა დაქუცმაცებული. ამასთან, დასამატებელი შემკვრელი ნივთიერება უზრუნველყოფს დასაწნეხი მასალის მაღალი შეკვრის უნარს.

ბროწეულის ფოთლის ექსტრაქტი მიღებულ იქნა: ფოთლების წყლის ორთქლით დამუშავებით (ქლოროფილის დაშლის მიზნით), შემდგომი დაქუცმაცებით და გაშრობით 3-5% ტემპემცველობამდე; ექსტრაქტი მივიღეთ სამჯერადი ექსტრაქციით ბროწეულის ფოთოლსა და წყალს შორის 1:5 თანაფარდობით; დასამატებელი ექსტრაქტის ოპტიმალურ დოზად ავიღეთ 20ლ. 200კგ. ჩაის ფოთოლზე ანუ ჩაის 10%, რაც უზრუნველყოფს დამატებული ექსტრაქტის სრულ მონაწილეობას გადამუშავების პროცესში.



საბოლოოდ, ტაბლეტირებული ჩაის წარმოების ტექნოლოგიურმა სქემამ მიიღო შემდეგი სახე:

ნედლეულის მომზადება (გამონაცერი, შაქრის ფხვნილი, ბროწეულის ფოთლების ექსტრაქტი) → კომპონენტების შერევა → შრობა (170°C, 30-40წთ) → დაფქვა და ნარევის მომზადება დაწნეხისათვის → ტაბლეტის ფორმირება დაწნეხით → სასაწყობო ოპერაციები (გაცრა ფხვნილისა და ნატეხებისგან, დაყოვნება 1-2სთ)

ტაბლეტირებულ ჩაის ნიმუშებში განსაზღვრულ იქნა ორგანოლექტიკური მაჩვენებლები და ძირითადი ქიმიური კომპონენტები. [5]

განსაზღვრის შედეგები მოცემულია ცხრილში №1.

ცხრილი №1

ტაბლეტირებული ჩაის ხარისხობრივი მაჩვენებლები

ცდის ვარიანტი	არომატი და გემო (ბალი და დახასიათება)	ნაყენი (ბალი და დახასიათება)	ნაყენის ინტენსივობა (ΦΕΚ-56M)	ექსტრაქტული ნივთიერებები %	ფენოლური ნაერთები %
საკონტროლო	3,00 ჩაისათვის დამახასიათებელი	ყვითელი, არასაკმარისად გამჭვირვალე	0,49	32,5	13,5
ტაბლეტირებული ჩაი	3.25 სასიამოვნო არომატით	ყვითელი, მოწითალო ელფერით, საკმარისად გამჭვირვალე	0,60	34,9	14,8

როგორც ცხრილიდან ჩანს, ექსტრაქტული ნივთიერებების რაოდენობა მატულობს 0,7%-დან 2,7%-მდე, ხოლო ფენოლური ნაერთების შემცველობა მატულობს 1,45%-მდე, უმჯობესდება ხარისხობრივი მაჩვენებლები, მიიღება ყვითელი, მოწითალო ელფერის პროდუქტი.

ამრიგად, ჩატარებული ექსპერიმენტის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ბროწეულის მცენარის ფოთლის ექსტრაქტი შესაძლებელია გამოყენებულ იქნას ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებებით გამდიდრებული, ნატურალური, არაფალსიფიცირებული, ტაბლეტირებული მწვანე ჩაის წარმოებაში, რომელიც ასევე შეიძლება გამოყენებულ იქნას სამკურნალო-პროფილაქტიკური დანიშნულების სამომხმარებლო პროდუქტად.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Ревишвили Т. Малои безотходное технология в производстве чая. Москва: издательство «АгроНИИТЭИПП», выпуск 1, 1989г. стр. 15-17
2. Мачихин Ю., Зурабишвили Г. - Таблетирование пищевых материалов. издательство «Пищевая промышленность», Москва, 1978г. стр. 135;
3. ლასარეიშვილი ლ., ტრაპაიძე ჩ. - ბროწეული. გამომცემლობა „საბჭოთა საქართვე“



- ლო“, თბილისი, 1982წ. გვ.32;
- ჩაგელიშვილი ს., გოგორიშვილი მ. - საქართველოს სამკურნალო მცენარეები და მათი გამოყენება. გამომცემლობა „განათლება“, თბილისი, 1991წ. გვ.144;
 - ჯინჯოლია რ., ჩიქოვანი ნ. - ჩაის ქიმიის პრაქტიკუმი. გამომცემლობა „განათლება“, თბილისი, 1986წ. გვ.158;

Production of tablet soluble tea enriched with biologically active substances

Ekaterine Kakhniashvili

Candidate of Technical Sciences, Academic Doctor of Technology, The associated professor

Department of subtropical crops products technology, Akaki Tsereteli State University, Kutaisi, Georgia

Abstract

The present work deals with one of the interesting types of food product – tablet soluble tea, which are obtained from hard-to-be-grown tea types - Increasing its chemical composition and enrichment with biologically active substances can be planted with vegetable raw materials - in the production of pomegranate leaves extract. The technologically advanced technique allows for easy access to food products. The tablet soluble tea is a product filled with substances that are essential for the body, which can also be used for medicinal and prophylactic purposes. Involve in the daily diet of this product will increase the immune system of the body, fill the energy deficit, rejuvenate effect.

The biologically active ingredient is the concentration of high physiological activity, which is essential for the survival of the living organism, activates the enzymatic system, quickly and easily restores the shortage of nutrient essential nutrients, strengthens the body by energizing, and even a small amount of sufficiently healthy and protective action For him. Thus, it is necessary to use their daily ration.

A rich product of biologically active ingredients is tea products, namely green tea. It is possible to increase and enrich its properties with other additional features, using biologically active substances, which have previously been tested. However, this time we used tea types – siftings and fanning.

We have produced a tablet soluble tea that is a product of a 3-5 ml table tablet that is made of siftings and fanning. It is distinguished with small quantities, high quality dosage accuracy, well maintained, well transported, and most importantly convenient for use.

Pomegranate is a rich plant with biologically active substances selected to boost the tablet soluble tea.

As the chemical composition of the pomegranate components, it will be used as an additive to increase and increase the production of tea products, in particular, the chemical composition of the tea, and the antimicrobial properties of its preparation, will protect the body against harmful microflora. Can be used for the treatment of tea products with prophylactic purposes.

For the preparation of tablet soluble teas were used:

- Green tea discharge;
- Pomegranate leaves extract as a subtle substance;



- Sugar powder to improve the readiness of the ready tablet
- Composition of compound ingredients: 75%, excretion - 15%, powdered sugar - 10%;
- In order to simplify the process, the process of granulation has been removed from the technological scheme, since the raw material is pre-crushed. Additionally, the additive substance provides the ability of high-packing material to break down.

Pomegranate leaf extract has been obtained: processing the leaves with water steam (for the purpose of dissolution of chlorophyll), further shredding and drying up to 3-5% tm; Extract has been obtained by a three-fold extract of pomegranate leaf and water in 1.5 ratio; We took 20 liters of optimum dose to extract 200 kg. tea leaf, which is 10% of tea, ensures full extraction of the extract in the processing process.

The technological scheme adopted by the teapot tea is as follows:

Prepare the raw materials (excretion, powdered sugar, pomegranate leaves extract) → Mixing components → 170g, 30-40 years) → Prepare the crushing and mixing of pressure → Pressing the tablet → warehouse operations (exchanged from powder and grout, delaying 1-2).

Tablet samples have been defined by organoleptic indicators and basic chemical components.

Determination results are given in Table № 1.

As shown in the table, the number of extractive substances increases from 0,7% to 2,7%, while the content of phenolic compounds increases by up to 1,45%, improved quality ratings, yellow, reddish-alloy products.

Thus, on the basis of the experimental experiment, we can conclude that pomegranate plant leaf extract can be used in biologically active ingredients enriched natural, non-phosphated, green tea, which can also be used as a drug-prophylactic consumer product.

Table № 1.

Quality of tablet soluble tea

Try the option	Aroma and taste (score and characterization)	Infusion (score and characterization)	Intensity of infusion (ФЕК-56M)	Extractable substances %	Phenolic compounds %
Control	3,00 Characteristic of tea	Yellow, insufficiently transparent	0,49	32,5	13,5
Tablet soluble tea	3.25 Pleasant aroma	Yellow, reddish tint, sufficiently transparent	0,60	34,9	14,8